

**შეზღუდული შესაძლებლობების რეპრეზენტაცია ქართულ
კულტურასა და ტელესივრცეში**

მალხაზ ორჯონიკიძე

საშინაო ნაშრომი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - ლიტერატურათმცოდნეობა

ბაკალავრიატი - II კურსი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ლევან ცაგარელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

სარჩევი

შესავალი.....	3
1.საკვლევი კონცეფციის შესახებ	4
2. შეზღუდული შესაძლებლობების გამოცდილება ქართულ კულტურაში - დისკურსის შექმნა.....	6
3. შეზღუდული შესაძლებლობების რეპრეზენტაცია ქართულ ტელევიზორებში - ადწერა/ანალიზი	7
დასკვნა.....	9
გამოყენებული ლიტერატურა.....	10

შესავალი

„შეზღუდული შესაძლებლობების კვლევები“ - კულტურის კვლევების ერთ-ერთი საკვანძო და მნიშვნელოვანი ნაწილია. მოცემული ნაშრომის მიზანია, კულტურის კვლევების მეთოდებისა თუ თეორიების დახმარებით წარმოვაჩინოთ, შეზღუდული შესაძლებლობების რეპრეზენტაცია ქართულ კულტურასა და ტელევიზორებში. ამისათვის კი გამოვიყენებთ რამდენიმე ნიშანდობლივ - შეზღუდული შესაძლებლობების რეპრეზენტაციის მაგალითს ქართული ტელემედიიდან. აღვწერთ ორი სხვადასხვა არხის, ორი მთავარი ტელეშოუს, კულტურულ არტეფაქტებს. ტელეშოუზე აქცენტი - მისი მასშტაბურობიდან გამომდინარეობს, როგორც ხალხისთვის ყველაზე ყურებადი და საინტერესო მოვლენიდან. მათ განსახილველად კი მთავარი დასაყრდენი იქნება - მიშელ ფუკოს კონცეფცია, სხეულის - როგორც დისკურსული წარმონაქმნის შესახებ და შეზღუდული შესაძლებლობის კვლევების მთავარი მიდგომები. მთავარ დისკურსამდე მისასვლელად და ქართულ კულტურაში შეზღუდული შესაძლებლობების გამოცდილების წარმოსაჩენად გამოვიყენებთ რადიო თავისუფლების სტატიებს.

1. საკვლევი კონცეფციის შესახებ

დროთა განმავლობაში, სხეულის, როგორც კონცეპტის ტრადიციულმა აღქმამ და წარმოდგენამ დეკონსტრუქცია განიცადა. დღევანდელ დღეს, ადამიანს სხვადასხვა მეთოდებითა თუ ხერხებით (ბიოტექნოლოგიური ცვლილებები ან უფრო მარტივი ტატუირების პრაქტიკა, რომელიც სხეულს საწერ ზედაპირად აქცევს) საკუთარი სხეულის შეცვლისა თუ მასზე მოქმედების თავისუფლება მიენიჭა. შესაბამისად, დღეს კულტურის კვლევებში სხეული მიიჩნევა, როგორც პერფორმანსის შედეგად წარმოქნილი კონსტრუქციად - დისკურსულ წარმონაქმნად (ცაგარელი 2016. 186).

მიშელ ფუკოს კონცეფციის თანახმად სხეულს, როგორც დისკურსულ წარმონაქმს ახასიათებს გარკვეული ნორმები. სწორედ ამ ნორმების შედეგად ყალიბდება და დისკურსის ცენტრში ექცევა სხეულის მოდელი, რომელიც ნორმად ცხადდება, ყველა დანარჩენი მოდელი კი დისკურსიდან იდევენება და მიუღებლად მიიჩნევა. ერთ-ერთი ასეთი მიუღებელი მოდელის მაგალითია - შეზღუდული შესაძლებლობები. შეზღუდული შესაძლებლობის კვლევები, რომელიც თავის მხრივ, კულტურის კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, სწორედ ამ დისკურსის დამსხვრევას თუ შეცვლას ემსახურება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა წარმოდგენისას, გვაგონდება უფორმო თუ ფორმაშეცვლილ სხეულები, რომლებსაც მხოლოდ იმიტომ მივაკუთვნებთ შეზღუდულ შესაძლებლობებს, რომ გავემიჯნოთ მათ, როგორც „ნორმალურები“. შეზღუდული შესაძლებლობების კვლევების მიზანი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ამ დამოკიდებულების წინააღმდეგ წასვლა და შეცვლის/დეკონსტრუქციის მცდელობაა. კვლევებში შეზღუდული შესაძლებლობები მიიჩნევა კონსტრუქციად, კონკრეტული გარემოს - კონკრეტული დისკურსის მიერ შექმნილ კონცეპტად, რომლის მიზანიც, მხოლოდ და მხოლოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მარგინალიზაცია, ამის საშუალებით კი, საკუთარი თავის „ნორმად“ მიჩნევა თუ გამოცხადებაა. სწორედ „ნორმალურობა“ კულტურათმცოდნეობის დაკვირვებისა და კვლევის მთავარი ობიექტი - რა განაპირობებს ადამიანის ნორმალურად აღქმას საზოგადოებაში. ამ მიდგომის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობები კონკრეტული დისკურსის მიერ წარმოქმნილი კატეგორიაა, რომელიც მასში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნების შედეგად არსებობს (ნორმალური/არანორმალური) (ცაგარელი 2016, 186-189).

ამრიგად, შეზღუდული შესაძლებლობების კვლევებისა და ფუკოს ნააზრევის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობები, მხოლოდ და მხოლოდ, კულტურული

დისკურსის ნაწილია და მხოლოდ მასში არსებობს. დისკურსის მიზანი კი კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაცია და მათზე საკუთარი უპირატესობის ჩვენებაა. სწორედ ამ მიდგომებისა და კონცეფციების საშუალებით შევეცდებით ავხსნათ შეზღუდული შესაძლებლობების გამოვლინებები ქართულ კულტურასა და ტელევიზორცეში.

2. შეზღუდული შესაძლებლობების გამოცდილება ქართულ კულტურაში - დისკურსის შექმნა

საქართველოში დამკვიდრებული დისკურსის განხილვამდე, საჭიროა მისი შექმნის წინაპირობის გახსენება. საქართველოს შემთხვევაში, მთავარი გამოცდილებისა, რომელმაც შემდგომ უკვე ჩამოაყალიბა და გაამაგრა კონკრეტული დისკურსი.

საბჭოთა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სტიგმატიზაცია ქმნის დისკურსს, რომელიც ემსახურება განსხვავებულად მიჩნეული ადამიანების საზოგადოებისგან იძულებით გამოცალკევებასა და გარიყვას. სწორედ ამ გამოცდილებაზე საუბრობს გიორგი გვახარია თავის სტატიაში, რომელიც საბჭოთა პერიოდის გამოცდილების წარმოჩენას ემსახურება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ თანაგანცდა მოკლებულ საზოგადოებაზე, რომელშიც ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ, იმიტომ ირიყებიან, სძულთ და დასცინიან, რომ საზოგადოების აზრით, ისინი განსხვავებულნი არიან (გვახარია 2015). ამ ყველაფერთან ერთად, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა სახელმწიფოს პოზიცია და მიდგომები, რომლებიც გადაადგილებას უზღუდავს ადამიანებს და არ სთავაზობს მათზე მორგებულ გარემოს - არ ცდილობს დისკურსის დანგრევას, ამით კი, ასაზრდოებს მას. სტერეოტიპები და მათთან ერთად დისკურსი ძლიერდება, ადამიანების დამოკიდებულებით განსხვავებულებისადმი. ერთი მხრივ, ეს შეიძლება განპირობებული იყოს თანაგრძნობის ნაკლებობით. მეორე მხრივ, კონკრეტულ საკითხზე განათლებისა და ინფორმირებულობის არ ქონით. ხშირ შემთხვევაში, მედიაც ამყარებს სტიგმას შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, ამ საკითხთის მიმართ ინფანტილიზმითა და უმოქმედობით (კონკრეტული დისკრიმინაციული მაგალითების უყურადღებოდ და გაუმუქებლად დატოვებით) (გვახარია 2007).

3. შეზღუდული შესაძლებლობების რეპრეზენტაცია ქართულ ტელესივრცეში - ალწერა/ანალიზი

ქართულ სინამდვილეში კონკრეტული დისკურსებისა თუ სტერეოტიპების გამყარება - ჩამოყალიბებაში ტელემედია დიდ როლს თამაშობს. ერთი შეხედვით, არც ისე შესამჩნევად, მაგრამ მას დიდი გავლენა აქვს მაყურებელზე, რომელსაც გაუცნობიერებლად ხდის გარკვეული დისკურსის ნაწილად. მაყურებელს, რომელიც ენდობა მას ან გასართობად ადევნებს თვალს. ქართულ ტელესივრცეში განსაკუთრებული პოპულარობითა და რეიტინგით სარგებლობს ტელეშოუები, რომლებსაც ასიათასობით ადამიანი ყოველკვირეულად ელოდება და უყურებს.

გადაცემა „ნიჭიერში“ მონაწილეობის მისაღებად გამოსული ეტლით მოსარგებლე პიროვნების, სცენაზე პირველი [გამოსვლის შემდეგ](#), ჟიური ბევრ დადებით შეფასებასთან ერთად, „ცდილობს“ ეტლზე ყურადღება არ გაამახვილოს, თუმცა მაინც აქცენტირებს მასზე - [„რამდენი ხანია ეტლში ხარ? ...და რა არის მიზეზი?“](#). [„ამ ბიჭმა დაგვანახა, რომ თურმე არ არსებობს რაღაცა შეზღუდვები ცხოვრებაში, ეს არი ოპტიმიზმით სავსე მამაცი, ძალიან მაგარი ბიჭი! ბრავო!“](#) - ამბობს ჟიურის მეორე წევრი. ამით კი, ერთი მხრივ, უარყოფს გარკვეულ „შეზღუდვებს“ ცხოვრებაში, თუმცა აკეთებს აქცენტს, მხოლოდ და მხოლოდ, ეტლში მჯდომ ადამიანზე და აქებს მას. შემდეგ გადაცემაში ისევ მეორდება მსგავსი რეპლიკა - [„დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი ეტლის გარეშეც კი, არ აკეთებს ამას.“](#) გადამწყვეტ ეტაპზე გამოსვლის დაწყებამდე, გაკეთებულ [სიუჟეტში](#), ყურადღება კვლავ ეტლსა და იმ მოვლენას ეთმობა, რამაც განაპირობა კონკრეტული ადამიანის ეტლში მოხვედრა, უბედური შემთხვევის ამსახველი [ფოტო მასალით](#).

მეორე შემთხვევა, გადაცემა „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ კონკურსგარეშედ წარმოდგენილი, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე“ ადამიანის გამოსვლაა, რომლის გამოცხადებამდე ისევ ვითარდება ნარატივი, რომლის მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. თუმცა ეს ყველაფერი მელოდრამატული - გულისამაჩუყებელი მუსიკის ფონზე [მიმდინარეობს](#). გამოსვლის შემდეგ კი - ჟიური ისევ გულისამაჩუყებელი მუსიკისა და ცრემლის ფონზე მიმართავს ობიექტსა და მაყურებელს - [„ჩვენ ჩაგეხუტეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ ახლა მთელი საქართველო გეხუტებათ.“](#)

ამრიგად, ორი მნიშვნელოვანი შეზღუდული შესაძლებლობების რეპრეზენტაციის მაგალითის გაცნობასთან ერთად, ასევე ვეცნობით ტელემედიის მიერ განვითარებულ დისკურსს. რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, მიმდინარეობს თხრობა იმის შესახებ, რომ შეზღუდული

შესაძლებლობები არ არსებობს, თუმცა პარალელურად მაცურებელზე ზემოქმედებისა და რეიტინგის აწევის მიზნით, ხდება საზოგადოების აღქმით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან განსხვავებულობაზე აქცენტის გაკეთება. მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობების ეგზოტიზაცია - მელოდრამატული/გულისამაჩუყებელი მუსიკის, ცრემლისა და აღტაცების საშუალებით. ერთი შეხედვით, „შეზღუდული შესაძლებლობების“ არ არსებობაზე გაკეთებული აქცენტი დისკურსს უნდა ასუსტებდეს - სტერეოტიპებს კი ამსხვრევდეს, თუმცა ტელემედიის მიერ განვითარებული თხრობა, დისკურსს არ ცვლის, საზოგადოების მიერ განსხვავებულად აღქმულ ადამიანებს კი მასში ინეტგრაფიის ნაცვლად, ეგზოტიკურ ობიექტებად აქცევს.

დასკვნა

შეზღუდული შესაძლებლობების კვლევების მიერ შემუშავებული თეორიები და თეზისები, ასევე ფუკოს ნააზრევი სხეულის - როგორც პერფორმანსის შესახებ, თავისებურ გამოვლინებას ჰპოვებს ქართულ კულტურასა და ტელემედიაში. მიდგომის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობები, მხოლოდ და მხოლოდ, კონკრეტული დისკურსის ნაწილია, ეს დისკურსი კი ქართულ სოციუმში მყარად ფესვგადგმულია და ტელემედიებისგანაც საზრდოობს. შეზღუდული შესაძლებლობების აღქმა საქართველოში ცალსახად, ერთი დისკურსის ფონზე მიმდინარეობს, რომელიც მოჩვენებითი თანაგანცდით ემიჯნება განსხვავებულს, ახდენს მის ეგზოტიზაციას, ამით კი საკუთარ თავს „ნორმალურობის“ ჩარჩოებში სვამს. მოვლენათა ახსნის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ სწორედ ამ დისკურსს აწარმოებს ქართული ტელემედიაც, ყველაზე მასშტაბური ტელეშოუების მეშვეობით ის შეზღუდულ შესაძლებლობებს კონკრეტული - გაბატონებული დისკურსის ფარგლებში რეპრეზენტირებს და მაყურებელში მათი შეცოდებისა და ეგზოტიზაციის ხარჯზე, სტერეოტიპებსა და დისკურსს ამყარებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაგარელი, ლევან. 2016. *კულტურის კვლევების შესავალი*. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 186-189.
2. გვახარია, გიორგი. 2015. *ნიჭიერი ეტლში*. რადიო თავისუფლება. თბილისი.
 - <https://www.radiotavisupleba.ge/a/blog-giorgi-gvakharia-nichieri-etlshi/26794176.html>
3. გვახარია, გიორგი. 2007. *ადამიანები, რომელთა შესაძლებლობები შეზღუდულია*. რადიო თავისუფლება. თბილისი.
 - <https://www.radiotavisupleba.ge/a/1553255.html>

გამოყენებული ვიდეო მასალა:

1. *ნიჭიერი - ცეკვა ეტლით - თემური და ქეთევანი*
 - <https://www.youtube.com/watch?v=LnHSCN8IHnc&t=264s>
2. *ნიჭიერი - თემო და ქეთი - ცეკვა ეტლით / Nichieri - Tsekva Etlit - Temo da Qeti*
 - <https://www.youtube.com/watch?v=9UXWmBR2jo8&t=393s>
3. *ნიჭიერი - ფინალი - მეხუთე სეზონი 13.01.2015*
 - <https://www.youtube.com/watch?v=6z7FdaeqDyc&t=2633s>
4. *ცეკვავენ ვარსკვლავებში ასეთი ცეკვა თქვენ ჯერ არ გინახავთ... შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს*
 - <https://www.youtube.com/watch?v=-ieMcKkFXuw&t=316s>